

**თანინი მრავლობითი თანამედროვე
ქართულ სალიტერატურო ენაში
Plural Forms with -თ /-t/ suffix in the
Contemporary Literary Georgian Language**

**ქეთევან დათუკიშვილი
Ketevan Datukishvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

საკვანძო სიტყვები: თანინი მრავლობითი, მოთხრობითი ბრუნვა,
მიცემითი ბრუნვა, ნათესაობითი ბრუნვა, ბრუნების პარადიგმა.

Keywords: plural forms, ergative case, dative case, genitive case,
declension paradigm.

ცნობილია, რომ ნართანიანი მრავლობითის გამოყენების არეალი თანამედროვე ქართულში მნიშვნელოვნად შეზღუდულია. ებიანისაგან განსხვავებით, ის იშვიათად დასტურდება და, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, ძირითადად – სტილისტიკური ფუნქციით (შანიძე, 1980; ჩიქობავა, 1998; არაბული, 2016; ფეიქრიშვილი, 2018).

თანამედროვე ქართული ენის გრამატიკებში სახელთა ბრუნების განხილვისას ნართანიანი მრავლობითის პარადიგმაში ხუთი ბრუნვის ფორმაა წარმოდგენილი, რომელთაგან ორი ნარიანია, სამი – თანიანი:

- სახ. კაც-ნ-ი
- მოთ. კაც-თ(ა)
- მიც. კაც-თ(ა)
- ნათ. კაც-თ(ა)
- მოქ. –
- ვით. –
- წოდ. კაც-ნ-ო

ამჯერად განვიხილავთ თანიანი მრავლობითის ფორმებს. ეს საკითხი სპეციალურად აქვს შესწავლილი ბ. საბაშვილს. იგი იზიარებს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ **თა** ყველაზე ხშირად ნათესაობითის ფუნქციით გამოიყენება. ეს ფორმანტი მიცემით ბრუნვაშიც საკმაოდ პროდუქტიულია, მოთხრობითში კი იშვიათად გვხვდება. მოთხრობითი ბრუნვის შესახებ ბ. საბაშვილი წერს, რომ „დღეს **-თა** || **-თ** ფორმანტი ამ ბრუნვას აღარ აღნიშნავს... ჯერ კიდევ ილიას, აკაკის, ვაჟას ნაწერებში **-თა** || **-თ** ფორმანტი მოთხრობითის ფუნქციით ხშირი იყო, დღეს კი ამ ფუნქციით იგი პროდუქტიული აღარაა“ (საბაშვილი, 1972, გვ. 121).

მაშასადამე, მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში თანიანი მოთხრობითი ძალიან იშვიათად დასტურდებოდა. საინტერესოა, რა სიხშირით გამოიყენება ეს ფორმები თანამედროვე ქართულში. შეესაბამება თუ არა დღევანდელი ვითარება ნახევარი საუკუნის წინ გამოთქმულ თვალსაზრისს. ჩვენ საანა-

ლიზოდ ავიღეთ ქართული ენის ეროვნული (კერძოდ, რეფერენციალური) კორპუსის მონაცემები. მასალის მოძიებაში მონაწილეობდნენ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები: მარიამ გოგუაძე, ნინო ვეკუა, ნინო კირკიტაძე, ლელა მამულაძე და კარინა ჯანჭლავა.

კორპუსის მასალიდან გავაანალიზეთ 8 000-ზე მეტი ერთეული. განხილულ მასალაში თანიანი მრავლობითის შემთხვევათა აბსოლუტური უმრავლესობა ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა. ისინი სუბსტანტიური მსაზღვრელის ფუნქციით გამოიყენება სხვადასხვა სახის შესიტყვებებში: ამომრჩეველთა სიებში, ამპარტავანთა თვითნებობას, ამხანაგთა წრეს, ადვოკატთა ასოციაციის, ავადმყოფთა რაოდენობა, ავაზაკთა რაზმი, ავანგარდისტთა გამოფენაზე, ათასწლეულთა გასაყარზე, აკრობატთა წყვილი, ბავშვთა ანსამბლი...

ნათესაობითი ბრუნვის თანიანი ფორმები აქტიურად გამოიყენება თანდებულებთანაც (ე. წ. ცალკე მდგომი თანდებულები): ადვოკატთა შესახებ, ადამიანთა მიმართ, ავსტრიელთა მიერ, არასრულწლოვანთა მიმართ, არგენტინელთა გარდა, ავტორთა მიერ...

თანიანი მრავლობითი ნათესაობითის ფუნქციით გვხვდება აგრეთვე თანდებულდართულ ფორმებში: აბიტურიენტთათვის, არგუმენტთაგან, გულშემატკივართაგან, მყოფთაკენ...

თანიანი ფორმები მიცემითი ბრუნვის მნიშვნელობით, ნათესაობითთან შედარებით, ნაკლებად დადასტურდა. ისინი ყველაზე მრავლად შეგვხვდა **შორის** თანდებულის წინ: ამოცანათა შორის, ამსვლელთა შორის, ამხედრებულთა შორის, ანალიტიკოსთა შორის, არბიტრთა შორის, ავღანელთა შორის...

საანალიზო მასალაში თანიანი ფორმები მოთხრობითი ბრუნვის მნიშვნელობით ძალიან მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი. 8 000 თანიანი ფორმიდან მხოლოდ 19 (0.2%) დადასტურდა მოთხრობითის ფუნქციით. ისინი, ისევე როგო-

რც მიცემითის უთანდებულო ფორმები, უპირატესად გამოიყენება თარგმნილ ტექსტებში, ქართულ მხატვრულ ნაწარმოებებში კი ძირითადად გვხვდება ძველ ავტორებთან (XIX ს. – XX საუკუნის პირველი ნახევარი).

აქვე გამოჩნდა გარკვეული კანონზომიერება სხვადასხვა მეტყველების ნაწილთან თა სუფიქსის გამოყენებისას: თანიანი ნათესაობითი გვხვდება ყველა მეტყველების ნაწილთან (მათ შორის – არსებითებთან), ასეთივე ვითარებაა მიცემით ბრუნვაში – თანდებულების წინ; რაც შეეხება უთანდებულო მიცემითს, თანიანი მრავლობითი უპირატესად გვხვდება მიმღეობებთან:

უბრალო **მოკვდავთ** ხომ ლამის მოეთხოვებოდათ კიდეც, უქმეებზე „ფეხბურთი“ ეთამაშათ. („11x11“, 2003)

ხელოვნების **მოყვარულთ** ამ დღეებში სანუგეშოდ შეიძლება შევაშველოთ ჩვენი შემდეგი სიუჟეტის გმირი. („რადიო თავისუფლება“)

შინ **დაბრუნებულთ** შეუძლიათ, შური იძიონ თავიანთ მეზობელ სარკინოზებზე. („საქართველოს რესპუბლიკა“, 2008)

დაინტერესებულთ შეუძლიათ, დარეკონ შემდეგ ტელეფონზე: 99-30-82. („სარბიელი“, 2000)

თანიანი მიცემითი შედარებით ნაკლებად გვხვდება ზედსართავ სახელებსა და ნაცვალსახელებთან, არსებით სახელებთან კი – იშვიათად.

თანიანი მოთხრობითის ნიმუშები ძალიან მცირე რაოდენობით დასტურდება საანალიზო მასალაში, ისიც – უმეტესად მიმღეობებში, ზედსართავ სახელებსა და ნაცვალსახელებში – იშვიათად, არსებით სახელებში კი პრაქტიკულად არ გვხვდება.

მოზიმივე ერაყელების სახეების **შემყურეთ** უნდა დავასკვნათ, რომ „ეს ძალიან კარგი დღეა“. („რადიო თავისუფლება“)

სულიერ ცხოვრების **მოსურნეთ** უნდა იცოდნენ, რომ კაცობრიობის მტერი ცდილობს, ღვთაებრივი სიკეთენი შეცვლილი სახით წარმოაჩინოს. („ახალი თაობა“, 2006) (პატრიარქის ეპისტოლე)

უკვდავთ დატოვებს ტროელთა და აქაველთ ბრძოლა.
(„ილიადა“)

ხმა არ გაიღეს შავით **მოსილთა**. (კ. გამსახურდია)

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას შემდეგი:

თანამედროვე ქართულში თანიანი მოთხრობითის წარმოება არ არის პროდუქტიული; თანიანი ფორმები მოთხრობითი ბრუნვის ფუნქციით ტექსტებში გვხვდება ძალიან მცირე რაოდენობით (0.2 %); მათი გამოყენება შემოფარგლულია მეტყველების ნაწილთა თვალსაზრისითაც: ისინი ძირითადად დასტურდება მიმღებობებში, იშვიათად – ზედსართავ სახელებსა და ნაცვალსახელებში, არსებით სახელებში კი პრაქტიკულად არ გვხვდება.

ისმის კითხვა: წარმოდგენილი ვითარების გათვალისწინებით შეიძლება თუ არა, თანიანი მოთხრობითის ფორმები მივაკუთვნოთ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მონაცემებს? თუ მათ ამგვარ ერთეულებად არ განვიხილავთ, მაშინ დაისმის საკითხი იმის შესახებ, რომ მრავლობითის პარადიგმაში თანიანი ფორმები წარმოვადგინოთ მხოლოდ ორ ბრუნვაში (მიცემითსა და ნათესაობითში), მოთხრობითში კი – არა. ამით ზუსტად აისახება თანამედროვე ქართული ენის ვითარება.

პარადიგმა ამგვარ სახეს მიიღებს:

სახ. კაც-ნ-ი

მოთ. –

მიც. კაც-თ(ა)

ნათ. კაც-თ(ა)

მოქ. –

ვით. –

წოდ. კაც-ნ-ო

რაც შეეხება თანამედროვე ტექსტებში მოთხრობითი ბრუნვის ფუნქციით გამოყენებულ თანიან ფორმებს, ისინი უნდა განვიხილოთ არქაიზმებად, რომლებსაც სტილისტიკური დატვირთვა აქვთ.

ლიტერატურა:

- არაბული, ა. (2016). ახალი ქართული ენა, წიგნი I, სალიტერატურო ენის მორფოლოგია, გ. გოგოლაშვილისა და ა. არაბულის რედაქციით, თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- საბაშვილი, ბ. (1972). მრავლობითი რიცხვის -თა სუფიქსიან ფორმათა გამოყენების შესახებ ახალ სალიტერატურო ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი პირველი, გვ. 119-132, თბილისი: „მეცნიერება“.
- ფეიქრიშვილი, ჟ. (2018). ქართული ენის მორფოლოგია, თბილისი: „ლოგოსი“.
- შანიძე, ა. (1980). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი 12 ტომად, ტ. III, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- ჩიქობავა არნ. (1998). ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბილისი: „ქართული ენა“.

It is well known that in modern Georgian the formation of plural with -თ /t/ and -ნ /n/ suffixes is quite restricted. Unlike the widespread formation of the plural number with the suffix -ებ /eb/, plural number formed by means of თ /t/ suffix is rare and, as is noted in scholarly literature, it chiefly bears a stylistic function.

In the grammar books focusing on the contemporary Georgian language, two case forms are represented with the suffix -ნ /n/ and three – with the suffix -თ /t/:

nominative კაც-ნ-ი

ergative კაცთ(ა)

dative კაცთ(ა)

genitive კაცთ(ა)

instrumental –

adverbial –

vocative კაც-ნ-ო

The paper focuses on the plural forms with suffix -თ /t/. It is interesting to consider their frequency in three cases (ergative,

dative and genitive). Hence, the paper aims to find out whether these plural forms are actively used in the contemporary Georgian language.

The analysis is based on the data of the National (namely, referential) corpus of the Georgian language. MA students of the Faculty of Humanities of Tbilisi State University – Mariam Gogvadze, Nino Vekua, Nino Kirkitadze, Lela Mamuladze and Karina Janjghava took part in the collection of the material.

The analysis of the material has yielded the following outcomes: in the contemporary literary Georgian, plural forms with the suffix -თ /t/ are mostly found in the genitive case forms. They are rare in the dative and even more scarce in the ergative.

In our opinion, such plural forms in the ergative case no longer represent the data of the Georgian language. Hence, they should be viewed as archaic.

All the above mentioned raises the issue of the change in the paradigm: when describing the contemporary Georgian language, forms with the suffix -თ /t/ should be given only in two cases (dative and genitive) and omitted in the ergative case. Thus, the paradigm should be as follows:

nominative კაც-ბ-ი

ergative –

dative კაცთ(ა)

genitive კაცთ(ა)

instrumental –

adverbial –

vocative კაც-ბ-ო

As for the forms used in fiction literature, they should be considered as archaisms performing a specific stylistic function.

References:

Arabuli, A. (2016). Akhali kartuli ena. tsigni I, saliteraturo enis morpologia [The New Georgian Language, Book I. The Morphology of Literary Language]. Tbilisi: TSU Press.

- Sabashvili, B. (1972). On the Use of Plural Forms with the Suffix -თა /-ta/ in the New Literary Georgian. *Issues of the Culture of Georgian Speech*, Volume One, 119-132, Tbilisi: "Metsniereba".
- Peikrishvili, Z. (2018). *Kartuli enis morpologia [Morphology of the Georgian Language]*. Tbilisi: "Logos".
- Shanidze, A. (1980). *Kartuli enis gramatikis sapudzvebi [Basics of Georgian Grammar]* in 12 volumes, v. III, Tbilisi: "Tbilisi State University Publishing House".
- Chikobava, A. (1998). *General Characteristics of the Georgian Language*, Tbilisi: "Kartuli Ena".